ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N3

5 დეკემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი; ა. ლაშხი; ბ. დავითულიანი; ე. კუხიანიძე; გ. გოცირიძე; ქ. ჯოხაძე; ვ. ძნელაძე; ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. თემურ გორგაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. გოჩა თევდორაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. გულია გოცირიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ქეთევან ჯოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. მიხეილ ამაშუკელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. თამარ მათიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
6. ირაკლი თავართქილაძე - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, დაადასტურა კვორუმის არსებობა და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილების პროექტს წარმოადგენდა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

მოისმინეს:

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა არის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილება მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

ქ. თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ, მიმართა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი სხდომა იყო დედაქალაქის საკრებულოსთვის, ვინაიდან ,,ქართული ოცნების'' მიერ წინასაარჩევნოდ გაჟღერებული ცვლილებების განხორციელებისთვის აუცილებელი ერთ-ერთი პროექტი განიხილებოდა. მანვე დაადასტურა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კვორუმის არსებობა.

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონ გიორგი ჩაკვეტაძე დაეთანხმა ბატონ ირაკლი ზარქუას და აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ ,,ქართული ოცნების'' გუნდის მიერ გაჟღერებული პრიორიტეტები ასახულია ბიუჯეტის ცვლილებების წარმოდგენილ პროექტში, მანვე დაადასტურა შესაბამისი კომისიის კვორუმი.

ბატონი ირაკლი ზარქუას თქმით, სხდომაზე მონაწილეებისთვის ცნობილია, რომ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი სატენდერო პროექტების დაზუსტება და შედეგად, დედაქალაქმა მიიღო 13 მილიონ ლარამდე ოდენობის ეკონომიები შესაბამისად.

სიტყვა გადაეცა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, რომლის განმარტებით, 2017 წლის ბიუჯეტში ხორციელდება დაახლოებით 13 მილიონი ლარის გადანაწილება, თუმცა, ბიუჯეტის მთლიანი ცვლილება 20 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. აქედან, 7 471 000 ლარი საშემოსავლო ნაწილია. მცირდება გადასახდელების ნაწილი, რაც დაკავშირებულია რუსთაველის ქუჩისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგიროს მშენებლობისთვის განკუთვნილი სახსრების აუთვისებლობით. მისი თქმით, მიმდინარე წელს ვერ განხორციელდა აღნიშნული მშენებლობა და შესაბამისი დაფინანსება გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში.

ბატონი გაიოზის თქმით, გზების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე მიღებულია 505 000 ლარის ეკონომია, სატენდერო და სახელშეკრულებო ეკონომიები იქნა მიღებული გლდანის რაიონში (344 000 ლარი) და მთაწმინდის რაიონში განხორციელებული სამუშაოებიდან (150 000 ლარი);

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამიდან, არშემდაგრი ტენდერების საფუძველზე, მიღებულია 1 315 000 ლარის ეკონომია, რომლის გარკვეული ნაწილი მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული;

მეტრო სადგურების მშენებლობის პროგრამიდან დარჩენილია 373 000 ლარი, ეს თანხებიც მომავალი წლის ბიუჯეტში აისახება;

ბინათმშენებლობისა და ავარიული შენობების გამაგრების პროგრამებიდან დაზოგილია 996 000 ლარი, ხოლო საპროექტო-საძიებო სამუშაოებიდან მიღებულია 120 000 ლარის ეკონომია.

ქალაქგაფორმების ღონისძიებებიდან მიღებულია 200 000 ლარის ეკონომია, ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობიდან - 191 000 ლარი, საბურთალოს რაიონში კეთილმოწყობის ღონისძიებებიდან - 252 000 ლარი, მთაწმინდის რაიონში ფაქტობრივი სამუშაოების შესრულებიდან - 160 000 ლარი;

გამწვანების ღონისძიებების სატენდერო ეკონომიამ შეადგინა 575 000 ლარი;

ბენეფიციართა რაოდენობის შემცირების შესაბამისად, დაავადებათა სკრინინგის პროგრამის ეკონომიამ შეადგინა 300 000 ლარი;

კომუნალური სუბსიდირებიდან მიღებული ეკონომია შეადგენს 650 000 ლარს, სერვის-ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადების ღონისძიებებიდან - 80 000 ლარს.

200 000 ლარის ეკონომია იქნა მიღებული სოციალურად დაუცველი და უსინათლო შშმ პირების დახმარების პროგრამიდან, ბენეფიციართა რაოდენობის შემცირების გამო. იმავე მიზეზით იქნა მიღებული 100 000 ლარის ეკონომია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ყოველ ახალშობილზე გასაცემი დახმარებების პროგრამიდან;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამიდან სატენდერო ეკონომიების შედეგად, დარჩენილია 1 500 000 ლარი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საბიუჯეტო სახსრებიდან მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 730 000 ლარი, რადგან შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მასზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის მიმდინარე მომენტში ნებართვების მიღების ეტაპზე არის მუნიციპალიტეტი, შესაბამისად, მისი რემონტი ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა და მომდევნო წლის დასაწყისისთვის იგეგმება.

კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური დახმარების ღონისძიებების მუხლიდან მიღებულია 300 000 ლარის ეკონომია.

220 000 ლარის ეკონომია არის მიღებული რაგბის სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებიდან. აღნიშნული, ძირითადად, სახელშეკრულებო და სატენდერო პროცესის შედეგად მიღებული ეკონომიებია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურებიდან მიღებულია 165 000 ლარის ეკონომია.

ბატონმა გაიოზმა დამატებით აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროგრამებზე 13 000 000 ლარია გადანაწილებული, საიდანაც 4 759 000 ლარია

გათვალისწინებული სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზებისთვის, 350 000 ლარი - ფონიჭალაში სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის. 3 000 000 ლარი - სპეციალურ დანადგარზე დასუფთავების ღონისძიებების მუხლში, 377 000 ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე პირთა რეაბილიტაციაზე, 140 000 ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელება; ასევე, 1 000 000 ლარით იზრდება ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამა, ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის შესაბამისად. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე არასრულწლოვნების დახმარება იზრდება 710 000 ლარით, 208 000 ლარით იზრდება თბილისის უფასო სასადილოების მომსახურება ნაძალადევის რაიონში, კულტურული ღონისძიებები იზრდება 300 000 ლარით ახალი წლის ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით, 270 000 ლარით იზრდება თბილისის მერიის სარეზერვო ფონდი და მისი მიზნობრიობა არის თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

ბატონი გაიოზის მიერ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში განხორციელებულმა ეკონომიებმა შესაძლებელი გახადა 13 000 000 ლარამდე თანხის მობილიზება, შესაბამისად, თანხები გადანაწილდა მოქალაქეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებზე, ეს არის სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამები.

მისი თქმით, სარეზერვო ფონდის შევსების საჭიროებაზე კითხვები უნდა გამოირიცხოს, რადგან ისნის რაიონში მომხდარ ტრაგედიაზე თბილისის მერიას ჰქონდა მყისიერი რეაგირება, რომელიც სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა. ბუნებრივია, დედაქალაქის სარეზერვო ფონდში უნდა იყოს მობილიზებული გარკვეული თანხები წინასწარ განუსაზღვრელი შემთხვევებისთვის.

სიტყვა გადაეცა საკრებულოს წევრს, ბატონ გოჩა თევდორაძეს. მისი განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილება გამოწვეულია ჩაუტარებელი და შეუსრულებელი ტენდერებიდან, რომლებიც უნდა ჩატარებულიყო. მაგალითად, კულტურის ძეგლის მქონე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სამუშაოებიდან მიღებულია 400 000 ლარის ეკონომია, 1 700 000 ლარია მიღებული სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მუხლიდან. მისივე თქმით, მცირდება 2017 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი და გამოდის, რომ რეალურად, ბიუჯეტი ვერ შესრულდა. მანვე აღნიშნა, რომ კარგია თბილისის სარეზერვო ფონდის შევსება, თუმცა, უმჯობესი იქნებოდა ეს თანხები იმავე პროგრამებს მოხმარებოდა, რისთვისაც ბიუჯეტში თავიდანვე იყო გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ 820 000 000 ლარიან ბიუჯეტში გარკვეული თანხის ეკონომიების მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა. მისივე თქმით, წარმოდგენილი ცვლილებით, თანხები გადადის ბიუჯეტის იმ მუხლებში,

რომლებიც პრიორიტეტულია მოქალაქეებისთვის, შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ ცვლილების განხორციელება.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ სურდა მცირე განმარტება გაეკეთებინა ბიუჯეტის იმ მუხლებზე, რომლებიც განათლების პროგრამების მიმართულებით ცვლილებას ითვალისწინებს. მისი თქმით, თბილისში, 51-ე სკოლაში რამდენიმე დღის წინ, დიდი ტრაგედია მოხდა, რაც ზოგადად, მთლიანად საზოგადოების ტრაგედიაა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, თუ რაოდენ დიდი ყურადღება სჭირდება განათლების სფეროს და ეს მიმართულება უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს მუნიციპალურ დონეზეც.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობის მუხლისა და უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობის მუხლის შემცირება გამოწვეულია საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებით, რაც უნდა გამოსწორდეს. მისივე თქმით, საჭიროა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ირგვლივ კონსოლიდაცია მუნიციპალიტეტის მხრიდან. ვინაიდან სხვადასხვა დაწესებულებების მხრიდან არასაკმარისი მომართვიანობა, გარკვეულწილად, პოტენციურ ბენეფიციართა ნაკლები ინფორმირებულობის პრობლემაა. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოება არ არის საკმარისად ინფორმირებული, მათ შორის, ახალგაზრდები, ოჯახები, მშობლები. ამიტომ, როდესაც განიხილება განათლებისა და კულტურის სფეროს პროექტები და ინიციატივები, მეტი ყურადღება უნდა მოვითხოვოთ მედიისაგან და უკეთ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია საზოგადოებას აღნიშნული ინიციატივების შესახებ მათი მხრიდან გაზრდილი ჩართულობის მიღწევის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, მიმდინარე დღეებში მომხდარი ტრაგედიის ფონზე, ყველა თანხმდება, რომ ქვეყნის და ახალგაზრდების უსაფრთხოება გადის განათლებასა და კულტურაზე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, განათლებისა და კულტურის საკითხები გადაინაცვლებს საინფორმაციო გამოშვებების დღის წესრიგის ბოლო ნაწილში, რაც არასწორია. მისივე თქმით, საჭიროა, ამ საკითხის ირგვლივ შენარჩუნებული იქნეს საზოგადოების კონსოლიდირებული პოზიცია.

მანვე მიმართა სხდომაზე დამსწრე, თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ ზაზა ცინაძეს და სთხოვა, მეტი ყურადღება დაუთმონ საზოგადოების ინფორმირებას.

ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, წლის ბოლოს ბიუჯეტის შესრულებისას 3, 4, 5%-ის მეტობა ან ნაკლებობა დასაშვებია. აქედან გამომდინარე, არსებული ვითარება პრობლემური არ არის. ბიუჯეტში ეკონომიებიდან მიღებული 2 000 000 ლარი

მიემართება სოციალური და სხვადასხვა პროგრამების განხორციელებისთვის. მისივე განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოიცავს მთლიანი ბიუჯეტის 2%-ს და სარეზერვო ფონდის 270 000 ლარით გაზრდა შესაბამისობაშია მასთან.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ როდესაც თბილისის მერიამ აცხადებს ტენდერს შესაბამისი კრიტერიუმების დაცვით და ტენდერი იშლება, აქ მთავარია გამოთავისუფლებული საბიუჯეტო სახსრების უფრო ეფექტიანად განკარგვა. მაგალითად, რაგბის სპორტული კომპლექსის მშენებლობიდან ეკონომია იმიტომ იქნა მიღებული, რომ ვერ მოესწრო შესაბამისი სამუშაოების ჩატარება მიმდინარე წელს, ხოლო როდესაც სამუშაოების ჩატარება დაიწყება, მაშინვე ჩაირიცხება შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები.

ბატონი ირაკლის განმარტებით, ბიუჯეტის ცვლილებები გამოწვეულია ობიექტური მოცემულობიდან, ასევე ობიექტურია, ის გარემოება, რომ გამოთავისუფლებული თანხები მიემართება სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ სპორტულ კომპლექსზე მიმდინარე სამუშაოებისას ვერ მოხერხდა გამოყოფილი თანხების გარკვეული ნაწილის ათვისება, თუმცა, 2018 წელს ეს სამუშაოები დასრულდება. მანვე გამოთქვა იმედი, რომ 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სახსრები მსგავსი კომპლექსების მშენებლობისთვის, რაც გუნდმა წინასაარჩევნოდაც განაცხადა და ასევე, ასახავს მოსახლეობის ნებას.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ, გოჩა თევდორაძემ, დავით უთმელიძემ, თამარ ტალიაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რიმა ბერაძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის № 30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	**7**
წინააღმდეგი _____	**0**
თავი შეიკავა _____	**1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (№12-031733421-03 - 30.11.2017) განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიამ გადაწყვიტა, რომ კომისიას არ აქვს არსებითი შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი